რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე, თ. ივ. კ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება „დროებას“ „ივერიის“ რედაქციაში. გარეშე ცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. въ ре[illegible] „Дроэба“–„Иверіи“

„დროება“–„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| დროება“–„ივერია“ ერთად. | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკენომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა 2 მან.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

[illegible] სიტყვა 1 კაპ., [illegible]

ის ხელნაწერები მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს, [illegible] წერილებს. [illegible] წერილს რედაქცია [illegible] დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება [illegible] ქართულს, რუსულს და სხვა ენაზედ.


## დროება-ივერიის

### რედაქციისა და კანტორის

## ქუთაისელს განყოფილებაში

(სიონზე მ. ჭყონიას სახლში, აგენტთან ი. ჭყონიასთან)

მიიღება ხელის-მოწერა და განცხადებანი, კორრესპონდენციები, წერილები და ცნობანი თვით რედაქციაში გადასაცემლად.

ადრესი: *Въ Кутаисъ. Въ Кутаисское отдѣлене редакціи и конторы ДРОЭБА-ИВЕРІИ.*

---

მომავალი წლიდამ გამოვა ტფილისში ყოველ-თვიური ჟურნალი

## „იმედი“

გამოცემის პირობა არის გამოცხადებული მეოთხე გვერდზე.

---

„დროება“–„ივერიის“

## ალბომი

მომავალ 1881 წლის განმავლობაში „დროება“–„ივერიის“ რედაქცია თავის წლიურ (მთელი წლის) ხელის-მომწერლებს უფასოდ დაურიგებს მხატვრობის ალბომს, რომელსაც უსასყიდლოდ გვიხატავს ჩვენი ახალგაზდა ნიჭიერი მხატვარი ალექსანდრე ბერიძე.

მხატვრობა და ტექსტი ალბომისა დაბეჭდილი იქნება იტალიაში თვითონ ბერიძის ზედამხედველობითა და ხელმძღვანელობით.

ალბომში იქნება შემდეგი სურათები:

1. თამარ-დედოფალი, 2. ერეკლე მეფე, 3. შოთა რუსთაველი, 4. ალექსანდრე ჭავჭავაძე, 5. მარი ბროსსე, 6. ორი სურათი „ვეფხვის-ტყაოსნიდამ“, 7. მცხეთის მონასტერი, 8. [illegible] 10. პეიზაჟები, 11. ჩვენი ხალხის ტიპები და სხვ.

## ტელეგრამმები

(ხალხთა შორის სააგენტოსი)

პეტერბურღი, 17 დეკ. დღეს წავიდა აქედამ ჩაგიშლიარში ცხრა დანი მოწყალებისანი „კრესტოვოზდვიჟენიის“ საზოგადოებიდამ.

თელავი. 17 დეკემბ. გუშინ გაუჩნდა ცეცხლი და დაიღუპა ერთი სამხედრო გემი პირველი ხარისხისა რიშელიე; რამოდენიმე კაცი დაშავდა.

პარიჟი, 17 დეკ. სენატისა და პალატის სხდომები დახურულია.

ლონდონი, 12 დეკ. ოსტინდიის მართებლობას მაწყრილობა აქვს გაგზავნოს ჯარი კასპის კუნძულზედ. ბოერებმა დაიკავეს უტრეხტი.

პეტერბურღი, 17 დეკემბ. „ნოვოე ვრემიას“ გაუგონია, რომ ვიცე-ადმირალი შვარცი დანიშნულია შავი ზღვის ფლოტის უფროსათ და ქ. ნიკოლაევის ღუბერნატორათ.

სტამბოლი, 17 დეკ. ამბობენ, ოსმალეთის მმართებლობა არ დათანხმდება, რომ ევროპის შუამავლობით გაათაოს საბერძნეთთან საქმე; მაგრამ თავის წინადადებებს წარმოადგენს და ეცდება, რომ მშვიდობიანად მორიგდეს საბერძნეთთანა.

---

[illegible]

ტფილისი, 18 დეკემბერს.

სხვა-და-სხვა მხრიდამ, სადაც შარშან კალია იყო, იწერებოდნენ, რომ ამა-და-ამ ადგილას კალიამ კვერცხები დასდოვო; როგორც ამბობენ, განსაკუთრებით ბევრი კვერცხებია ქართლის მინდვრებში ჩაფლული; გლეხებმა იციან თურმე—სახელდობრ სად, რა ადგილებშია ეს კვერცხები და ამ ადგილებზე, თფილისის ღუბერნატორის ბრძანებით, კალიის ზედამხედველებს, ნიშნად, ჯოხები უნდა დაერჭოთ მიწაში, რომ ხალხს ადვილად მოენახა კვერცხი.

ამბობდნენ აგრეთვე, რომ, ბ. ღუბერნატორის ბრძანებით, კალიის ზედამხედველებს ამ ზამთრის განმავალობაში კვირა-უქმ დღეებში ხალხი უნდა გაეყვანათ ამ კალიის კვერცხის საძებნელად.

ამას ამბობდნენ; მაგრამ ამ კეთილგონიერ განკარგულების სისრულეში მოყვანას კი, თუმცა ზამთარი კაი ხანია დადგა, ვერსად ვერ ვხედავთ.

ქართლს თითქმის სულ დაავიწყდა—თუ რა ზარალი მოუტანა იმას შარშან კალიამ და რა ზარალის მოტანა შეუძლიან კიდევ მომავალ წელსაც იმის მინდვრებში ჩაყრილ კვერცხებიდამ გამოჩეკილს ამ საძაგელ მწერს. დაავიწყდა, მაგრამ თვითონ ის მოაგონებს თავის თავს, თუ ახლავე არ შეუდგნენ თადარიგს, თუ ახლავე არ დაიწყეს ამაზედ ზრუნვა.

მართლაც, ამ ორის წლის მაგალითითა და გამოცდილებით დავრწმუნდით, რომ საუკეთესო დრო კალიის გაწყვეტისა არის ის დრო, როდესაც კვერცხიდამ გამოსულის უფრთო კალიის გაწყვეტა ძნელია, თორემ, როცა ის ფრთას შეისხამს, მერე იმასთან ბრძოლა, იმის გაწყვეტის ცდა—სულ ამაო ბრძოლა, ამაო ცდაა, უბრალოთ დაკარგული დრო.

ამას გარდა თფ. ღუბერნატორის განკარგულება, რომ ზამთრიდამვე შეუდგეს ხალხი ნელ-ნელა კალიის კვერცხის გაწყვეტას, იმიტომ არის კეთილ-გონიერი განკარგულება, რომ ზამთრობით ხალხი საზოგადოთ უფრო

---

«დროების» ფელტონი, 19 დეკემბ.

### მტრობა.

(ნამდვილის მსგავსი ამბავი)

ღმერთო ჩემო! რა ნაირათ შეიცვალა დრო! ყოველგან და ყველაფერს მოხვდა განათლების ბრჭყალი! ხალხი სულ გამოიცვალა, სულ სხვა-ნაირათ გადაკეთდა! მეუყურებ და ვკვირდები, ეს რაები ჩნდება-მეთქი!

აი თუნდ ავიღოთ ჩვენი ქალაქის N-ის ჩინოვნიკები: — სულ სხვები არიან. სულ არა ჰგვანან ჩვენ წინანდელ მდივანბეგებს, რომლებიც რაღაც ნაირი ჩოხებით დაიარებოდნენ. აბა ეხლა ამაებს შეხედეთ! სულ მშვენიერი სერთუკებით დადიან, რომლებზედაც ყოველის მხრით ლაპლაპებს ლამაზი ღილები; წაღები ხომ ისეთი გაწმენდილი აცვიათ, რომ კაცი იმაში თავის სახეს დაინახავს ისრე, როგორც სარკეში.

შორს ნუ წავალთ, ავიღოთ თუნდ ჩვენი ქალაქის მოსამართლე. მისი მამა მთელს გუბერნიაში გამოჩენილი კაცი იყო და რიგიანათ ორ სიტყვას ვერ დასწერდა; ჩვენმა დიაჩოკმა ძლივს რა ვაი-ვაგლახით ასწავლა მას თავის სახელის მოწერა. ის სცხოვრებდა მარტო თავისთვის, უყვარდა ხანდისხან გადაკვრა და სანადიროთ სიარული თავის მწევარ-მეძებრებით. როდესაც სანადიროთ მიდიოდა, მისი წინ შეხვედრა ძნელი იყო; თუ კარგ გულზედ იყო, ხომ კარგი—ჩაგვილევინებდათ კიდეც, და თუ ვერ იყო გულზედ, მაშინ კი გზა უნდა დაგვეთმოთ, თორემ დაგვადევნებდათ ძაღლებს და ხშირად არც გაროზგვას დაიზარებდა.....

ეხლა მისი შვილი! როგორია მისი შვილი, თქვენ გეკითხებით? თამამად შემიძლია ვსთქვა: ის არის უუგანათლებულესი, პირველი ნასწავლი და ჭკვიანი კაცი ჩვენში. რა მშვენიერი ქცევა აქვს! რა მშვენიერ ბალებს მართავს და რა მშვენიერ სადილებს აკეთებინებს!!! ერთის სიტყვით, თითებს წაიკვნეტს კაცი!

ან და ავიღოთ ჩვენი ქალაქის თავი. არც ის გახლავსთ ნაკლები. შორიდგან ჩანს, რომ ის მაღალ წრეშია გაზდილი. იმას კი არ ჰგავს, მის წინათ რომ გახლდათ! ეგ სულ სხვა კაცია.....

აღარც ამათი ცოლები გახლავან ნაკლები. რას არ ვნახამთ იმათში! სიფაქიზე, სინაზე, ზრდილობა, ფრანცუზული ენა, განათლება — ერთის სიტყვით არა აკლიათ-რა. და ყველა ამის შემდეგ გასაკვირველია განა, რომ ჩვენი ქალაქი ძრიელ წინ წავიდა?

ჩვენ ყველამ კარგათ ვიცით, რომ მაგალითი დიდი რამ არის კაცისათვის. ქალაქის თავის და მოსამართლის მეუღლეები შეადგენენ სულს, გულს და მაგალითს მრთელი ჩვენი საზოგადოებისათვის; ისინი მართავენ ბალებს, ვეჩერებს; ისინი შემოიღებენ ახალ მოდებს და ჩვენ ქალებსაც ისინი ჰყავან თითით საჩვენებლათ და სცდილობენ, ყველაში იმათ წაბაძონ. იმათი აზრი ყველასთვის კანონათ ითვლება.

მაგრამ მათი გაცნობა ევრე მოკლეთ არ ივარგებს; ვეცდები უფრო დაახლოვებით გაგაცნოთ.

ჩვენი სუდია გახლავსთ პატარა ტანის კაცი, ჩასუქებული და კარგათ მოზდილი მუცლით. ფეხები ბევრათ უფრო მოკლეებია ტანზედ ასე რომ, შორიდგან კაცმა რომ შეხედოს, დიდი ხის მორი წარმოუდგება თვალწინ. პირის-სახე ფართო, წითური; ცხვირი ისეთი პატარა, რომ პირველ შეხედვაზედ მოგაგონებს დამზადებულს, მაგრამ შეუმწვარს კოტლეტს.

მოცლილია, სოფლის მუშაობა უფრო ნაკლებათა აქვს და კვირა-უქმ დღეებში მაინც ყოველთვის მონახავს თავისუფალ დროს, რომ კალიაზე გავიდეს სამუშაოდ.

ყოველის მხრიდამ, სადაც კი კალია იყო შარშან და წელს და სადაც კი ხალხი გაყვანილი იყო იმის საქლეტად, ისმოდა ერთი-და-იგივე ჩივილი: „—ამ კალიას კი გადავრჩეთ იქნება, მაგრამ რა გამოვიდა, სანამ ჩვენ აქ ვქლეტთ კალიას, მანამ მოწეული ნამუშევარი კი გვიფუჭდება-და! დედაკაცების მეტი არავინ დარჩა შინ, ვინ მოუაროს ყანებს, ვინ მომკოს, გალეწოს პური?!“ და სხვ. და სხვ. და მართლაც, ბევრ ალაგას გაფუჭდა ნამუშევარი მხოლოთ იმიტომ, რომ დროზე ვერ მოუარეს, დროზე ყურისმგდებელი არავინ ჰყავდა.

თუ წელს, ამ-თავითვე არ შეუდგა ხალხი თადარიგს კალიის კვერცხის გაწყვეტისათვის, თუ კალიის ზედამხედველებმა ბეჯითად არ შეასრულეს გ. ტფილისის ღუბერნატორის განკარგულება და ამ ზამთარშივე და გაზაფხულზე არ შეუდგნენ საქმეს, უეჭველია, რომ მომავალ წელსაც ის ბედი დაგვადგება, ისე მოცდება ხალხი თავის პირ-და-პირ მუშაობას, როგორც წელს ზაფხულს და შემოდგომაზე მოცდა.

ამიტომაც სასურველია, რომ გ. ტფ. ღუბერნატორმა განუმეოროს კალიის ზედამხედველებს თავის გოთაიეს.

## ახალი ამბები

—

ამას წინათ ჩვენს გაზეთში იყო გაგონილი ამბავი, რომ ქუთაისის სახალხო სკოლების დირექტორს ბ. მარსოვს სცვლიანო. ეს ამბავი, სამწუხაროთ, მართალი გამოდგა: დღევანდელს „კავკაზში“ ოფიციალურად გამოცხადდეულია, რომ ბ. მარსოვი ბაქოს გუბერნიისა და დაღესტნის სახალხო სკოლების დირექტორის თანამდებობაზედ გადაუყვანიათ და იმის მაგივრად კი ქუთაისის სახალხო სკოლების დირექტორად დაუნიშნავთ სტავრაპოლის გუბ. სახ. შკ. დირექტორი ვიღაც ორლოვი.

ნეტავი ვიცოდეთ—რა მიზეზისათვის გამოსცვალეს ბ. მარსოვი?

* * *

ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ დღეს, პარასკევს, ბოდფრუას ცირკში იქნება დიდი წარმოდგენა, რომლის შემოსავალი მუსულმანების სკოლების სასარგებლოდ არის დანიშნული.

* * *

იმ მკვლელობაზედ, რომელიც ამ-თვის 15-ს მოხდა გორში და რომელზედაც დღევანდელ „დროებაში“ კორრესპონდენცია იბეჭდება, ჩვენ გვატყობინებენ კიდევ შემდეგ ამბავს:

„15-ს ამ თვეს ქ. გორში მოხდა ერთი საზიზღარი ამბავი. ადგილობრივი მცხოვრები ალალო ტუთაევი გაქურდეს. ტუთაევმა მაშინვე ეს ამბავი აცნობა პოლიციას და მიუთითა ერთ მეჩექმეს დუქანზედ, სადაც ნაქურდალი ნივთები ეგულებოდა. იმ საათშივე, პოლიციის პრისტავის თანაშემწეს მიხ. სანთლიკუდოვს წაუყვანია ორი დესიატნიკი, მისულან აღნიშნულ დუქანთან, და დაეპირებიათ დაჭერა მეჩექმესი (სახელათ ვასკას ეძახიან ამ მეჩექმეს.) ამ უკანასკ- [illegible] შიგაურტყამს მ. სანთლიკუდოვისათვის, რომელიც იქვე დავარდნილა. ამის შემდეგ მივარდნია ერთ დესიატნიკს, დაუცია დანა მუცელში და ისიც წაუწვენია. მერე მივარდნია იქვე მდგარ ჩაფარს იმავე დანით, მაგრამ ჩაფარს მოუსწრია და ხმლით დაუჭრია ხელზედ.

„ეს ამბავი მოხდა დილით მეათე სათზე. არამც თუ ექიმი, ისე კაციც არავინ გამოჩენილა, რომ ჭრილობა შეეხვია ამ უბედურებისათვის. ერთის საათის შემდეგ მიხ. სანთლიკუდოვს სული ამოხდა. დაჭრილები კი, ერთი დესიატნიკი და თვითონ მკვლელი საავათმყოფოში წაიყვანეს.“

* * *

ერთს რუსულ გაზეთში („მინუტაში“) იწერებიან, რომ ტფილისში მომავალს წელს (?) პოლიტეხნიკური ინსტიტუტი გაიხსნებაო.

როგორც მოგეხსენებათ, ამ პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის დაარსებაზედ, იმის წესდებაზედ ამჟამად არის ცალკე კომისიაში მოლაპარაკება: ჯერ კომისიას პროექტიც ვერ შეუმუშავებია და ამის გამო ასე მალე, მომავალ წლისათვის, ამ უმაღლეს სასწავლებლის გახსნას არ უნდა მოველოდეთ.

* * *

გაზ. „მშაკის“ სტამბოლელი კორრესპონდენტი იწერება, რომ ამ მოკლე ხანში ოსმალოს მმართებლობამ აღუკრძალა სომხებსო, რომ პაპიროზის ყუთებზე და სხვა ამგვარ ნივთებზე სომხის მეფეების სურათები არ დაიბეჭდოსო.

## „დროების“ კორრესპონდენცია

—

**გორი**, 15 დეკემბ. საშინელი ამბავი მოხდა დღეს გორში, რომელზედაც საჩქაროთ შეკრებილს ცნობას მოგახსენებთ გაზეთში დასაბეჭდად:

წუხელის გორის მოქალაქის ალა- [illegible] მოიტანეს: ქვაბები, მურაბის ბანკები და სხვა

დღეს დილით ცხრა საათზედ, აქაურის ერთის მეჩექმის მიროაშვილის დუქანში აღმოჩნდა ნაქურდლები და როდესაც ჰკითხეს:—როგორ მოხდა, რომ ნაქურდლები იმის დუქანში აღმოჩნდა, იმან უპასუხა: არ ვიციო, იქნება გიორგი მინდიაშვილმა (რომელსაც მეტს სახელს ხოსროშვილს ეძახიან) მოიტანაო, ერთი გასაღები დუქნისა იმასა აქვს და მეორე მეო.

ამ დროს დამკარგავმა ტუთაევმა გაგზავნა კაცი პოლიციის პრისტავის თანაშემწეს მიხ. სანთლიკუდოვთან შესატყობად. მოვიდა მაშინათვე სანთლიკუდოვი, და როდესაც მინდიაშვილი არ დახვდა, სადაც ნაქურდლები აღმოჩნდა, გაგზავნა დესიატნიკი მოაყვანინა და დაუწყო კითხვა. სამთლიკუდოვმა იცოდა, რომ ეს შენიშნული კაცი არის, რომელიც ამ დღეებში იყო დაჭერილი ციხეში კაიკაცობისათვის და გამოუშვეს ტუსაღობიდგან. ამ დროს უეცრად ქურდმა გამოაპარა ხელში ქონებული დანა, ჩასცა ყელში და რამდენსამე მინუტს შემდეგ გათავდა სამთლიკუდოვის სიცოცხლე... წაიღეს უბედური და უცებ მკვდარი მიაყენეს საცოდავს მოხუცებულს დედას, ძმასა და რძალსა.

ავაზაკს მაშინათვე მისცვივდა ხალხი; ამ დროს დასჭრა ერთი დესიატნიკი ძალიან მძიმეთ და საეჭვოა მისი სიცოცხლე; იქნება მოეკლა ტუთაევიც, თუ ამ დროს არ შეხვედროდა იქ მდგომი ჩაფარი სიმონა ქაბულაშვილი, რომელმაც დაინახა, რომ ასე გაცოფებული კაცის დაჭერა ძნელია, ამოიღო ხმალი შესაშინებლად, მაგრამ, როდესაც ქაბულაშვილსაც ჩასცა დანა იღლიაში (თუმცა ტანისამოსი დაუჭრა და ხორცათ კი ვერ უწია) მაშინ ამან, ამოღებულის ხმლით მიაჩეხა ხელი, რომელშიაც ეჭირა დანა და ამ ნაირათ დაიმორჩილეს მინდიაშვილი და წაიყვანეს სატუსაღოში.

მოამბე.

## წერილი რედაქტორთან

—

ბატ. რედაქტორო! ბევრი წერილი წავიკითხე თქვენს პატივცემულ გაზეთში რკინის გზის სხვა-და-სხვა სტანციებიდამ გამოგზავნილი. ყველა წერილებში ისმის საჩივარი რკინის გზის მოხელეებზედ და იმათ მრავალგვარ ბოროტ-მოქმედებაზედ. ყველას უკვირს, თუ რკინის გზის უფროსობა,

---

რაც შეეხება მ-ს ყოფა-ქცევას, ეგ მშვენიერად არის დახატული იმ მოწმობაში, რომელიც მიუღია მას ერთი სასწავლებლიდგან. ამ მოწმობაში სხვათა შორის არის ნათქვამი, რომ „ანდრია ივანეს ძე წყალმაკაძე არის რიგიანი ყოფა-ქცევისა, მაგარი სასმელები არ უყვარს; მორჩილი, გამგონე და ღვთის-მოყვარე კაცი; მხოლოდ ხანდისხან უყვარს სჯა სხვა-და-სხვა საგნებზედ.“

მეუღლე მისი ლიზა გახლავსთ შავგვრემანი, მაგრამ ლაზათიანი, ცოცხალი ქალი.

ქალაქის თავი—ალევა ალევას ძე ალევიანი გახლავსთ გამხმარი, მაღალი კაცი. პირის-სახე გრძელი, შავ-მოყვითალო, მაღალის ცხვირით, თავზედ, სწორეთ ბისმარკსავით, სამი ღერი თმა შერჩენია. ამ თმის უქონლობას ზოგი დიდ ჭკუას და განათლებას აწერს, ზოგი კი იძახის: „გამხმარ ხეზედ ფოთოლს რა უნდაო!“ ის გახლავსთ მშვენიერის ხასიათის და, როგორც ახალის მიმართულების კაცი, კვალში მისდევს ყველა ბოროტმოქმედების მოსპობას. განსაკუთრებით სიტყვა „ქრთამი“ ჟრიანტელს მოჰგვრის ხოლმე. თვითონ, რასაკვირველია, არასოდეს არ აიღებს ქრთამს. ვაჭრებს ხშირათ წაუკითხავს შემდეგ ნატაცი:

— „მე სიმართლეს არასოდეს არ გავყიდი. შესცდი რასმეში—დანაშაული ხარ და მორჩა; ფიქრიც არ გაბედო იმაზედ, თავს გამოვისყიდიო. მეგობრულათ გინდა რასმეს მოტანა, მოიტანე, უარის თქმით არ გაწყენინებ... თუ რამე დამჭირდება, მე თვითონ გთხოვ; მაგრამ რაც შეეხება ქრთამს—არ გაბედოთ. მეგობრულათ მოტანა სხვაა—მეგობრების შორის ყველა საერთო და საზოგადოა.“

და მართლადაც, ის ხშირად დაძვრებოდა დუქნებში, რომ ქრთამი არავის გაეცა. შევიდოდა თუ არა რომელიმე დუქანში, მაშინვე გამართავდა საამურ საუბარს, რომლის ყურებით კაცი სდნებოდა, ეგრე რომ არა მედუქნე აზ დაიშურებდა ნახევარ თავის დუქნის ჩუქებას მისთვის. ამასთანავე უნდა ვიქონიოთ სახეში, რომ რამდენათაც ბევრს და ძვირ-ფასს ნივთს აირჩევდა, იმდენათ უმფრო-და-უმფრო დაატკბობდა თავის საუბარს.

ცოლი მისი ხორესანი იყო უმფრო მოიუთრო, ტრედის ფერი თვალებით. ხორესანი იყო სამავალითო ქალი და ყოვლის მხრით მშვენიერი; მხოლოდ ერთი მისი უბედურება იმაშია რომ ღმერთს მისთვის შვილი არ მიუნიჭებია.

ანდრიას და ალევას თავ-და-პირველად დიდი მეგობრობა ჰქონდათ ერთმანეთში ეგრე, რომ ერთი უმეოროთ ვერ სძლებდნენ. ეგრეთვე იმათი მეუღლეები. ანდრია ყოველ დღე, გაათავებს თუ არა სამსახურს, შეუხვევს ალევასთან. ხორესანი თავის კაბას ერთ ბანტსაც არ დააკერებს, სანამ ლიზას არ მოელაპარაკება.

ამ ნაირის სიყვარულით ატარებდნენ ისინი დროს. თითქმის ყოველ დღეს ან ანდრიას ოჯახობა იყო ალევასთან და ან ალევას ოჯახობა ანდრიასთან. დანარჩენი ხალხი მიდიოდა იმათთან სალამ-სალამობით და ლაზღანდარობით ატარებდა იქ დროს. ყოველიფერი თავის რიგზედ მიდიოდა, მხოლოთ ახალ-გაზდა ქალებს აკლდათ რაღაც: ვგონებ ახალ-გაზდა ყმაწვილებზედ იყვნენ სუსტად. და მართლაც, ქალაქი ახალ-გაზდებით არ არის მდიდარი. ეგ გახლდათ მიზეზი, რომ ბალებზედ და ვეჩერებზედ ხშირად ეძინებოდათ მანდილოსნებს. ჩვენს ქალაქში რომ ახალ-გაზდობა ბლომათ იყვეს, ღმერთს გეფიცებით, ამას ერთი ქალაქიც ვერ აჯობებდა.

ლიზა და ხორესანი ძრიელ ართობდნენ საზოგადოებას, განსაკუთრებით ხშირის ტანცით. ლიზა ტან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატომ ყურს არ აქცევს ამოდენი ხანი ამას.

მე, რადგანაც დიდი ხნის ნამსახური რკინის გზის გზაზედ და რასაკვირველია, ყველაზედ ბევრი მნახველი აქაური ბნელი საქმეებისა, მსურს ყველას ვაცოდინო — თუ რატომ არის გახშირებული ამ ნაირი საქმეები აქ და რატომ ბოლო არ ეღება მალე ამ საქმეებსა.

მთელს გზაზედ მოხელეებად თითქმის სულ სხვა-და-სხვა გუბერნიებიდამ მოყვანილი რუსები არიან; ამათში ბევრი ცოლ-შვილიანია.

იკითხავთ ახლა: იმ სიშორიდგან აქ რათ მორბიან ზოგი მათგანნი, სადაც ჯამაგირს ოცი მანეთიდამ — ექვს თუმნამდინ მეტს ვერ შოულობენ? ნუ თუ იმათ, რომელნიც ცოლშვილს მოაწიალებენ აქ, ის არ ურჩევნიათ, სადაც დაბადებულან და გაზდილან, ნახევარ ფასათ ემსახურონ იქ? ჰველა იქიდგან მოსული დამეთანხმება ამაზედ, თუ რომ კეთილსვინიდისიანია და ხასიათ არ გაფუჭებული. მაგრამ, სამწუხაროთ, ამ ნაირთ აქ ძალიან ცოტას შეხვდებით. მაშასადამე მხოლოდ ისინი მოდიან იქიდგან აქ. ვისაც იქ თავის სახელი გაუფუჭებია თავის ბოროტ-მოქმედებით და იქ ძნელათ ედგომება.

მორბიან აქეთ, მორბიან იმ იმედით, რომ უთუოთ, როგორც შორიდგან მოსულთ შეიბრალებენ და ადგილს მისცემენ. ეს ასრეა, თორემ პატიოსანი კაცი საცა დაბადებულა, იქაც ადვილათ იცხოვრებს.

მოდიან და თითქმის ყველას, კიდეც უმართლდებათ თავიანთი ფიქრები. მართლა, რადგანაც შორიდგან მოსულთ იმისათვის, თუ სხვა მიზეზის გამო, რკინის გზის უფროსობა იმათ აძლევს უპირატესობას აქაურებზედ.

ემსახურებიან ესენი რამდენიმე თვე კეთილ-სინიდისიანათ და შემდეგ, შეიტყობენ თუ არა აქაური ხალხის დაუდევრობას, დაიწყობენ სამსახურს იმ ნაირათვე, როგორც წინათ სხვაგან უმსახურნიათ, ესე იგი, როგორც გაზეთში არის ხოლმე მოყვანილი. სჩაგვრენ უმეცარ ხალხს, უპირატესობას იმათ აძლევენ, ვისგანაც ქრთამს აიღებენ და მრავალი სხვა.

სჩადიან ამ საქმეებს, რადგანაც დარწმუნებული არიან, რომ საწყალ უმეცარს ხალხს იმას თავი არა აქვს, წავიდეს და საჩივრებზედ დრო დაჰკარგოს.

ასრულებენ და ვერც არავინ დაამცირებს თავიანთ მოქმედებას იმათ, მანამ, როგორც წესია, იმ გვარათ არ მოეპყრობა მათ ხალხი. და ვისაც სურს, ამ ნაირი ბოროტ-მომქმედი კაცი არ იყვეს რკინის გზის სადგურებში, უჩივლონ ქაღალდით იმას რკინის გზის მმართველთან, მაგრამ ნამდვილი ფაქტებით დაუმტკიცონ იმათ თავას — მოქმედება და იმედი ჰქონდეთ, რომ მალე გააცურებენ იმას იქიდგან.

ერთი პატარა კითხვა: რატომ იმ სტანციებიდგან არავინ სჩივის, სადაც უფროსათ ქართველია დაყენებული?

*

თფილისი, 15 დეკემბერს.

# რუსეთი

—

ფოჩტისა და ტელეგრაფის სამინისტრო მომავალ წელში მოელის წმინდა შემოსავალს 7,094,391 მან.

—

გამოვიდა ბრძანება, რომ პოლიციის მხედველობის ქვეშ მყოფი პირი, რომელიც რაიმე წინააღმდეგობას გაუწევს ადგილობრივ მთავრობას ანა და სამხედრო ყარაულს, მიეცემა სამხედრო სასამართლოში.

—

სახალხო განათლების სამინისტროში აღძრულია კითხვა, რომ სამღვთო სჯულის გარდაცემა დაწყებით სკოლებში შეეძლოთ ერის კაცებსაც. ეს საგანი უწმინდეს სინოდშია გადაცემული ამ ჟამად.

—

ფინანსის სამინისტროში მოლაპარაკებაა ამ ჟამად თამბაქოზედ ბაჟის შეცვლის თაობაზედ. ბაჟი უნდა შეიცვალოს თამბაქოს თვისების დახედვით. აქამდისინ ბაჟი ერთი იყო როგორც კარგ, ისე ცუდ თვისების თამბაქოზედ.

# უცხოეთი

—

**წვრილი ამბები:** ევროპის სახელმწიფოებისაგან ოსმალეთსა და საბერძნეთს შუა საქმის მედიატორობით გარჩევაზედ კიდევ მოლაპარაკება ჯერ. საჭიროთ ხედვენ შეიტყონ თანახმანი იქნებიან კონსტანტინეპოლში და ათინაში ამ გვარი მოლაპარაკების გარდაწყვეტაზედ, თუ არა. გერმანიის აზრია: საჭიროა ისეთი პირობაები დავადებინოთ ოსმალეთსადა საბერძნეთს, რომ რაც მედიატორების რჩევით გარდაიწყვიტოს, იმის თანახმანი გახდნენ ორივენი.

—

კუმუნდუროს უცნობებია საბერძნეთის წარმომადგენელთათვის უცხო ქვეყნებში, რომ უარი სთქვან ევროპის შუამავლობაზედ ოსმალეთსა და საბერძნეთის საქმეებში.

—

საბერძნეთის ელჩს კონსტანტინეპოლში, ტისსოს, საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტისაგან, მიურთმევია ხონთქრისათვის ალმასებით შემკული პირველი ხარისხის საპატიო ლეგიონის ორდენი.

—

რომიდამ იწერებიან, რომ ავსტრიის წინააღმდეგ ომისათვის დიდი მზადება არის იტალიაშიო.

—

ოსმალეთში და საბერძნეთში ყველაფერი იწევს ომისაკენ. ოსმალეთი იძენს სამხედრო იარაღებს და გერმანიისაგან დახმარებას მოელის. საბერძნეთს სლავიანების იმედი აქვს.

ოსმალ. სამხედრო მინისტრმა მიიღო 30 მილიონი ფრანკი სხვა-და-სხვა სამხედრო იარაღების შესაძენათ.

# თფილისის სამკურნალო

აპთეკებს მიიღებენ დილის ცხრა საათიდამ ვიდრე ნაშუადღევის პირველ საათამდის:

**ორშაბათს:** ექიმი გავრონსკი — ქალის ავათმყოფობისა, ლისიცევი — შიგნეულების ავათმყოფობის, როტინიანცი — ქალისა და ყმაწვილების ავათმყ., ქიუხარიანცი — ხირურგიულ და თვალის ავათმყოფობ. ბაბაევი — ნერვების ავათმყ., და შტემბორსკი — ვენერიულ და კანის ავათმყოფობისა.

**სამშაბათს:** ექ. მინკევიჩი — ხირურგიულ ავათმყოფ., ჟურავლევი — ვენერიულ და კანის ავათმყოფ., რეიხი — თვალისა, ბაბოვი — გულისა და შინაგანის ავათმყოფ., ბასხუტოვი — ბებიობის, ქალისა და ყმაწვილის ავათმყოფ., ვერმიშევი — შინაგანის ავათმყოფობის.

**ოთხშაბათს:** გავრონსკი — ქალის ავათმყოფ., ლისიცევი და რუდკოვსკი — შინაგანი ავათმყოფ., ასტვაცატუროვი — ალის, შტემბორსკი — ვენერიულ და კანის, პომერანცოვი — გულის.

**ხუთშაბათს:** ჟურავლევი — ყელის და გულის ტკივილის, როტინიანცი ქალისა და ყმაწვილის ავათმყ., ქიუხარიანცი — ვენერიულ და საშარდე ასოების ავათმყოფ., ვერმიშევი — შინაგანი ავათმყოფობისათვის.

**პარასკევს:** გავრონსკი — ქალის ავათმყოფობის, მინკევიჩი — ხირურგიულის, ლისიცევი — შიგნეულის, ბასხუტოვი — ბებიობის, ქალისა და ყმაწვილების ბაბოვი — ნერვების და შიგნეულების, ასტვაცატუროვი — ვენერიულ და კანის, შტემბორსკი — ვენერიულ და კანის ავათმყოფობისათვის.

**შაბათს:** ჟურავლევი — ვენერიულ და ანის ავათმყოფობისა, რეიხი — თვალის,

---

ციობდა ძრიელ ეშხიანათ; ხშირად მისი კავალერები იტყოდნენ: — ვინც იმასთან იტანციებს, სპიჩკასავით აენთებაო. ხორასანი ტანციობდა მსუბუქად და დიდის გრაციით. სიმღერით ორივენი კარგათ იმღეროდენ, მაგრამ ხმით ხორესანს ამჯობინებდნენ.

ამ ნაირად ლხინით და ქეიფით ატარებდნენ ისინი დროებას კარგა ხანს; მაგრამ, როგორც ყველაფერს ამ ცოდვილს დედა-მიწაზედ, რამოდენიმე ხნის შემდეგ იმათ მეგობრობასაც ბოლო მოეღო.

ერთხელ, ოთხ დეკემბერს, ალვამ გააკეთა სადილი. ხალხი ბლომათ ჰყავდა მოწვეული. მუზიკა, ტანცი და სხვა ამისთანაები, რაღა თქმა უნდა იქნებოდა.

ლხინის შემდეგ საზოგადოება თავს იქცევდა ბაასით. ამ ბაასის დროს, არ მახსოვს რა ნაირად, ჩამოვარდა ლაპარაკი იმაზე, თუ ვინ არის პირველი პირი ქალებში. ბაასში მიიღეს მონაწილეობა ლიზამ და ხორესანმაც.

— რასაკვირველია, ჩემი ქმარია პირველი ქალაქში, სთქვა ხორესანმა: თვით სახელი „ქალაქის თავი" აჩვენებს, რომ ის არის პირველი.

— მართალია, დაემოწმენ რამდენიმე.

— სრულიათაც არა, სთქვა ლიზამ. ჩემი ქმარია პირველი ქალაქში. ის ქალაქის კი არა, მთელი მაზრის უფროსიც კი არის; გარდა ამისა ის არის თავად-აზნაურობის წინამძღოლი.

— მართალია, დაემოწმენ სხვები.

— აჰ! რა ნაირი რამა ხართ, უთხრა ხორესანმა. თქვენი ქმარი უეზდში არის პირველი კაცი, ჩემი ქმარი კი ქალაქში.

— ეგ კარგი, ქალაქი უეზდში არ არის? ბევრი ლაპარაკი რა საჭიროა, ჩემი ქმარი ყველას თავია. შენი ქმარი კი მეორე პირია იმის შემდეგ...

— მე ვერ გამიგია, როგორა ხართ ეგრეთი გაუგებარი, რომ არ იცით, რომ ქალაქში მე მიჭირავს პირველი ადგილი!

— მე ძრიელ კარგათ მაქვს გაგებული, თქვენი არ ვიცი თორემ. ჩემი ქმარი არის თავად-აზნაურობის წინამძღოლი და მოსამართლე ყველასი და თქვენი ქმარი კი უფროსია მარტო უპრავისა და ამიტომაც პირველი ადგილი მე მიჭირავს.

— კარგი ერთი ნუ ყბედობ, ლიზა! ის არის უფროსი მარტო უპრავის კი არა, არამედ მთელი ქალაქისაც.

— კარგი ერთი ნუ ყბედობ, ხორესან! ჩემი ქმარი არი მოსამართლე ყველასი და ამასთანავე წინამძღოლი მთელი თავად-აზნაურობისა, ამიტომაც ის არის თავი ყველასი. იმას აქვს საქმე კეთილ-შობილ ხალხთან, შენ ქმარს კი ბაყლებთან...

ხორესანი ჯავრისგან გაფითრდა და ბოლოს საქმე ლანძღვამდინაც მივიდა.

— დაიკარგეთ! დაიყვირა ხორესანმა. გახსოვდეთ, ვინა ვარ მე და ვისთანა გაქვსთ საქმე!

— ეგ ხომ თქვენ დაიკარგეთ! დაუყვირა ლიზამ. აი რას ნიშნავს თავის დამცირება და თქვენთან ლაპარაკი.

ამ ამბის შემდეგ ყველა სტუმრები დალრეჯილები მიეშურებოდნენ შინისკენ.

მეორე დღეს, თავიანთ მეუღლეების ბრძანებით, სუდია და ქალაქის თავი აღარ სცემდნენ ერთმანერთს ხმას. ლიზა და ხორესანი იყვნენ ერთ მტრობაში და სცდილობდნენ ერთმანერთისათვის დაემტკიცებიათ, რომ არა მე ვარ პირველი ქალაქში, არა, მეო...

(დასასრული შემდეგ №-ში.)

ბაბოძევი—გულისა და შიგნეულების და ვერმიშევი—შიგნეულისა.

ამას გარდა ექიმი ბ ა ბ ა ე ვ ი მუქთად სწამლობს ღარიბ ავათმყოფებს ოთხშაბათობით საღამოს 5 საათიდამ 9-დიმ (სერგიევის ქუჩა, ბაინდუროვის სახლი)

დოქტორო ჟ უ რ ა ვ ლ ე ვ ი მიიღებს ღარიბ ავათმყოფებს მუდამ დღე საღამოს 6 საათიდამ 7-მდის სამკურნალოშივე.

კბილის ექიმი ო ბ რ ე ხ ტ ი ავათმყოფებს, ვისაც სამკურნალოდამ ქაღალდი ექნება, მუდამ დღე მიიღებს თავის სახლში (გოლოვინის პროსპექ., ზარათოვის სახლი).

მუდამ დღე, კვირას გარდა, დილის 9 საათიდამ 11-მდის სამკურნალოში არის ბებია ავათმყოფი ქალებისათვის.

# ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

—

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ ᲛᲐᲚᲐᲖᲡᲐᲨᲘᲓ კომერციული ბანკის ქვემოთ: საზამთრო ქუდები 2 მ. კარგები 4 მ. და 50 კ. ბავშვების წინდები, სტაქნები, საჩაეები და სხვ. ძალიან იაფათ ისყიდება.

10—1

მთელი ტანისამოსი ანუ პალტო—15 მანეთად. რევოლვერები—4 მანეთიდამ, ხვლის კანფეთები გირვანქა 60 კაპ. შინაქინის ღვინო და ხილის მარილი ციებისათვის—1 მან. და 50 კაპ. ხერესი და პორტ-ვეინი—1 მან. 20 კაპ. ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲚᲐᲖᲘᲐᲨᲘ.

10—1

იანვრიდან მომავალის 1881 წლისა, გამოიცემა, ქ. თფილისში, ახალი ქართული ყოველთვიური სალიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალი

## „ᲘᲛᲔᲓᲘ"

ამ ჟურნალს ექნება შემდგომი განყოფილება: 1, ბელლეტრისტიკა, 2, ისტორია, 3, პედაგოგიკა, 4, კრიტიკა, 5, განხილვა კავკასიის მხარის საზოგადოებრივი მოვლინებებისა, 6, მიმოხილვა რუსეთის საზოგადოებრივი მოვლინებებისა და 7, პოლიტიკა.

ფასი წლიურის გამოცემისა გაგზავნით სხვა ადგილებში და შინ მიტანით თფილისში არის 8 მანეთი.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ მიიღება თფილისში: რედაქტორის სადგომში საპერნის ქუჩაზედ № 41 და შავერდოვის გაზეთის სააგენტოში.

გარეშე მცხოვრებლებს შეუძლიანთ დაიბარონ ჟურნალი ამ ადრესით: Въ Тифлисъ. редактору грузинскаго журнала «Имеди» Саперная улица, № 41

რედაქტორი და გამომცემი
ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲒᲣᲠᲒᲔᲜᲘᲫᲔ.

3—2

მიღებულია ჩაი, პირველი მოსავლისა, რევოლვერები, საჩაეები, კამფეთები, მურაბები და სხვ. და სხვ. 25 პროცენტით ნაკლებ იყიდება მინამ სადმე სხვაგან — ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠ ᲛᲐᲚᲐᲖᲘᲐᲨᲘ არწრუნის გალერეიაში.

12—4

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ ᲛᲐᲚᲐᲖᲘᲐ

ერევნის მოედანზე № 2, კომმერციულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია წმინდა პიახტის და ჩინეთის პირველი მოწევის ჩაის გასაყიდველად და ასაუკეთესო ინგლისის საქონლებისა, მაგალითად: თოფების, რევოლვერებისა, ბოქლომთა, ტაბაკები (ფიდნოსი) კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაიე, ჭიქების, შოკოლადის, კაკაოს, იემრიელი სუკრის ერბო, საკურნებელის, საპონის, ცხვირ-სახოცების, შჩოთკი წინდების, ჩულქების, კარანდაშების, რკინის კალმების და სხვ...

(100—6)

ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐᲖᲔ ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲘ ᲐᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ-ᲠᲐ, ამაზედ შეიძლება დარწმუნდეთ ყველა ინგლისის მაღაზიაში, არწრუნის გალერეიაში, სადაც მიღებულია დიდძალი ᲩᲐᲘ 1 მოკრებისა, შოკოლადი, კაკაო ფრეისა და სხვა საქონელი: ქინის ღვინო და ხილის მარილი ციებისათვის; ხველების კანფეთები და სხვ. აგრეთვე დანა-ჩანგალი. ახალის სისტემის თოფები და სხვ.

15—10

## ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲘᲗ

რადგან ინგლისის მაღაზია სასმელეულით ვაჭრობას თავს ანებებს, ამის გამო ახლა ისყიდება: პირველის სორტის 3 წლის ხერესი და პორტვეინი ბოთლი 1 მან. და 50 კაპ., ძალიან კარგი 1 მან. და 20 კაპ., საუკეთესო კონიაკი—2 მან. იქვე ისყიდება 5,000 ფიდნოსი და გასალებები 8 კაპ., ინგლისის რევოლვერი 4 მანეთიდამ 35 მანეთამდინ, საუკეთესო ტარიელკები 2 მან. დუჟინი, პალტო და მთელი ტანისამოსი 15 მან. და სხვ.

10—9

ᲞᲐᲢᲔᲜᲢᲘᲐᲜᲘ ᲨᲠᲝᲢᲙᲔᲑᲘ

თმებისათვის 1 მ. 50-დამ და ცხენებისათვის 1 მ. 75-დამ; ყვავილები სახურავებით 2 მანეთიდამ; სარჭევი 30 კაპ.; რუმკები 5 კ.-დამ; ფილტრები (წყლის დასაწმენდი) 3 მ-დამ და ვედრები 1 მან-დამ; თეფშები 2 მ-დამ ინიდუჟ; შოკოლადის კანფეთები 20 კ-დამ თითო ყუთი და სხვ. ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠ ᲛᲐᲚᲐᲖᲘᲐᲨᲘ.

(100—67)

# ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲚᲐᲖᲘᲐ

*Maison de confiance*

შედარებით ნვენი ჩაი—1 მ. 10 კ. მოსკოვის ჩაის—1 მ 40 კ

| | | | |
|---|---|---|---|
| — — | —1—20 | — | —1—60 |
| — — | —1—40 | — | —1—80 |
| — — | —1—60 | — | —2— ,, |
| — — | —1—80 | — | —2—50 |
| საუკეთესო | —2— ,, | — | —3— ,, |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, ცინაგირები, კლეიონკა, წინდები—კაცისა და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის.

(100—71)

ინგლისის მაღაზიაში

ᲗᲛᲘᲡ ᲐᲦᲛ-ᲧᲕᲐᲜᲘ



ᲛᲐᲙ-ᲛᲐᲡ-ᲢᲔᲠᲘ

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობად, ტუალეტის საპონი, ღუბები და სხვ.

(150—21)

## ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐ

ᲚᲣᲐᲐ ᲘᲐᲒᲘᲚᲠᲘᲩ ᲠᲣᲮᲐᲫᲘᲡᲐ

მაქვს პატივი ვაცნობო პატივცემულ საზოგადოებას, რომ 1880 წლის ნოემბრის 20 დღიდგან ვაღებ ქ. ᲤᲝᲗᲨᲘ ᲙᲐᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐᲡ ჩემი მაღაზიის მეორე ეტაჟში, ზევით და იმედნეული ვარ არ დამტოვებთ უყურადღებოთ, რადგან ვიღებ ჩემს თავზედ შრომას ყოველ გვარ საქონლის გაგზავნ-გამოგზავნის, ყიდვის და გაყიდვისას ნაკლები კამისიით.

კანტორის საქმეებს აწარმოებს ᲛᲝᲡᲔ ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲡ ᲫᲔ ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔ, რომლისგანაც მსურველს შეუძლია ყოველი ანგარიშის შეტყობა.

Ლ. ᲠᲣᲮᲐᲫᲔ.

ტფილისში

# ᲨᲐᲕᲔᲠᲓᲝᲕᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ

(გოლოვინის პროსპექტი, ალექსანდროვის ბაღთან, შავერდოვის პავილიონში.)

ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲘᲡ ᲓᲠᲝ
1881 ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ყველა დრო-გამოშვებითი გამოცემაებზე რედაქციისგან გამოცხადებულ ფასებით: ადგილობრივზე, რუსულზე და სამზღვარ—გარეთისაზე.

ბ.ბ. ქალაქ გარეშე მცხოვრებელთ ამ ადრესით უნდა ინებონ მომართვა: Въ Тифлисъ, въ газетное агентство В. Шавердова.

25—23

შ ე ნ ი შ ვ ნ ა

რადგან მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და მიღებული წამალი.

თმის გასამაგრებელი

მაკ - მასტერი

ერთობ ბევრი ისყიდება, ამის გამო ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲚᲐᲖᲘᲐᲨᲘ ეს წამალი ეხლა 2 მანეთად ღირს.

(100—86)

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲕᲔᲚ-ᲛᲝᲥᲛᲔᲓ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲭᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲔᲠᲕᲘᲡ

## ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ

იღებენ საკერავს დასაჭრელად, დასანიშნად და შესაკერავად საქალებო სხვა-და-სხვა ტანსაცმელებს; იქვე ალებულ ზომით ამზადებენ სხვა-და-სხვა მოდის ფასონების თარგებს (ვიკრიკებს) ძალიან ხელ-მისაცემ ფასად. ვისაც ჭრისა და დასანიშნის (სმეტკა) შესწავლა სურს უახლესს მეთოდით სკოლაში ხაზვითა, იმას საგანგებოთ დანიშნულ დროზედ ასწავლიან ამ მეთოდს. ფულის სრული შემოსავალი სკოლის გასაუმჯობესებლად გადიდება. დაწვრილებითი ამბავი შეიტყობა სკოლაში არსენალის ქუჩაზე, სახლი № 33.

(3—3)

# ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲢᲧᲐᲕᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐ

შუა-ბაზარში, მეტყავეების რიგზე, ქართველოვის სახლებში გავხსენი საწყობი (სკლადი) ყოველ-გვარ ტყავის საქონლისა და მაქვს ვაჭრებისა და მომხმარებელთათვის სხვა-და-სხვა სორტის ტყავები: ᲬᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲚᲐᲜᲩᲔᲑᲘᲡ (პადოშვის ტყავები), ᲪᲮᲔᲜᲘᲡ, ᲘᲣᲮᲢᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲞᲝᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲘ; აგრეთვე ᲕᲘᲢᲘᲐᲟᲙᲔᲑᲘ, ᲬᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲧᲔᲚᲔᲑᲘ (გალოვკა), ᲡᲘᲠᲝᲛᲘᲐᲢᲜᲘᲡ ᲢᲧᲐᲕᲔᲑᲘ, ᲣᲜᲐᲒᲘᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲨᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲛᲜᲔᲑᲘ.

ყველა ეს საქონელი ისყიდება იმ ფასად, რა ფასათაც ზავოდებში ისყიდება ხოლმე.

10—7

Дозволено цензурою. Гифлисъ 18 Декабря 1880 г. Типографія Меликова გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი